საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება

2022 წლის 18 ივლისს გაიმართა პლატფორმის წევრი ორგანიზაციების გაფართოებული შეხვედრა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ვმსჯელობდით ევროკავშირის 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებაზე. ამ შეხვედრაზე ორგანიზაციის „ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა“ ხელმძღვანელმა ქ-მა ნატალია არღვლიანმა გამოთქვა თავისი აზრი რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა პლატფორმის წესდებასთან. ამან გამოიწვია წევრი ორგანიზაციების სამართლიანი აღშფოთება და მოითხოვეს ამ საკითხის ეთიკის კომისიაზე განხილვა.

ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა 2022 წლის 3 აგვისტოს 15:00 სთ-ზე zoom ფორმატით.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. თენგიზ სვანიძე - თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
2. რუსუდან სიმონიძე - წევრი
3. ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი - წევრი

სხდომაზე განიხილეს შემოსული საკითხი. იმსჯელეს და გადაწყვიტეს:

აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი - საქართველოს ეროვნული პლატფორმა, მოქმედებს წესდების და ეთიკის კოდექსის ფარგლებში. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდების მუხლი 1-ის 1.2 მოიცავს - საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია არის საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების ყველაზე პერსპექტიული გზა და პლატფორმაში გაწევრიანებით იღებენ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ ამ პროცესს.

მუხლი 2 - ის 2.1-ს ბ ქვეპუნქტი მოიცავს - საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირება;

გამომდინარე იქიდან რომ გაფართოებულ შეხვედრაზე ქალბატონმა ნატალია არღვლიანმა განაცხადა რომ მისთვის მიუღებელია 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულება (Zoom 1:07:50 დან), რადგან ეს ეწინააღმდეგება საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის აზრს და ლახავს ქართველთა უფლებებს, მან უხეშად დაარღვია ზემოთ ჩამოთვლილი მუხლები, ასევე მისი განცხადებები და გამოთქმული მოსაზრებები ლახავს და დისკრედიტაციას უწევს ევროპულ ღირებულებებს, ამიტომ ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ გარადა წესდებით გათვალისწინებული მუხლებისა ასევე დაირღვა ეთიკის კოდექსიც:

საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მუხლი 1- ის 1.2 მოიცავს - საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ ევროპული ინტეგრაცია, საბოლოოდ კი ევროკავშირის წევრობა, არის საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების ყველაზე პერსპექტიული გზა და პლატფორმაში გაწევრიანებით იღებენ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ ამ პროცესს.

მუხლი 4.2 ეროვნული პლატფორმის წევრები, ესწრაფვიან რა ეროვნული პლატფორმის მიერ დასახული მიზნებისა შესრულებას, იღებენ ვალდებულებას არ დაუშვან :

- ეროვნული პლატფორმის მიზნების დისკრედიტაცია;

გამომდინარე აქედან მივიჩნევთ რომ ორგანიზაციას ,ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა“ შეუჩერდეს ეროვნული პლატფორმის წევრობა წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტებით. შესაბამისად რეკომენდაციით მივმართავთ საკოორდინაციო საბჭოს რომ საერთო კრების ჩატარებამდე მოხდეს აღნიშნული ორგანიზაციისთვის წევრობის შეჩერება და ორგანიზაციის გარიცხვის საკითხი კენჭისყრაზე უნდა დაისვას საერთო კრებაზე.

ხელმომწერები:

1. თენგიზ სვანიძე - თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
2. რუსუდან სიმონიძე - წევრი
3. ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი - წევრი